თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2726921

ნომერი: AR1418836

თარიღი : 06.07.2016

გაცემის თარიღი : 20.07.2016

გაცნობის თარიღი : 21.07.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კრწანისი , N 22-24 , (ნაკვეთი N15/67) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ხატია გეგენავა პ/ნ 61001022823
- ბათუმი ლუკა ასათიანის ქ. N 49

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათებიდან ირკვევა, რომ N778515 გადაწყვეტილებით შეთანხმებული ღობის მშენებლობა უკვე განხორციელდა, შესაბამისად მისი კორექტირება შეუძლებელია.

იმ შემთხვევაში თუ სამსახურის მიერ შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები არ არის მიღებული ექსპლუატაციაში, საჭიროა საკითხი დააყენოთ ერთ ერთი მათგანის კორექტირების კუთხით და აღნიშნულ პროექტში გაითვალისწინოთ ღობის მშენებლობა. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ყველა მათგანი მიღებულია ექსპლუატაციაში: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად აკრძალულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიწის ნაკვეთის შემოღობვა ან/და მიწის ნაკვეთის შესასვლელებთან ბარიერების მოწყობა (გარდა სახანძრო უსაფრთხოების მოქმედი რეგლამენტებით დაშვებულისა).

სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.